

THE IMPLEMENTATION OF THE DECISIONS OF THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA IN THE LEGISLATIVE PROCESS

Sophio Ormotsadze

Ph.D. student of the Faculty of Law at Caucasus International University

Invited Lecturer at Akaki Tsereteli State University

Georgia, Kutaisi

Email: ormocadzesofia@gmail.com

სოფიო ორმოცაძე

ABSTRACT

The strengthening of constitutional legality is a crucial prerequisite for the development of the State and the protection of human rights and freedoms. In this context, the interaction between the Parliament of Georgia and the Constitutional Court holds particular significance. The effective realization of constitutional justice through legislative processes is essential for ensuring the supremacy of the Constitution and represents a fundamental guarantee of constitutional order.

Building on the analysis, this paper examines the procedural effectiveness of implementing constitutional standards in Georgia, as established by decisions of the Constitutional Court. The evaluation is based on an analysis of Georgian legal practice, with a particular focus on the timeliness of legislative actions. The study aims to highlight the importance and challenges associated with the timely implementation of constitutional standards in practice.

Furthermore, the paper explores the constitutional deferral mechanism, whereby the Court may delay the invalidation of a statute. The significance of this mechanism, along with the approaches outlined in the Court's decisions, is examined in relation to their reflection in legislation.

Ultimately, the article assesses whether Georgia possesses uniform and sufficient guarantees from the Constitutional Court to ensure timely and adequate implementation of constitutional standards in the legislative space based on the Court's decisions.

KEYWORDS: Constitutional justice, Supremacy of the Constitution, Judicial precedents

შესავალი

მოცემული სტატიის აქტუალობა დაკავშირებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების ასახვასთან საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში. კერძოდ, ხორციელდება თუ არა დადგენილი სტანდარტების გონივრულ ვადაში რეალიზაცია, რათა უზრუნველყოფილი იქნას კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა და სასამართლოს საქმიანობის დინამიკაში შენარჩუნება.

კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და პარლამენტის საქმიანობის პრაქტიკის ანალიზი, რომლის საფუძველზე მოხდება შეფასება სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილი კონსტიტუციურ-სამართლებრივი მიდგომების იმპლემენტირების პროცესის და მისი გავლენის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე. კვლევის მიზანია, პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, კომპლექსურად გამოკვლეულ იქნას საკითხი, საქართველოს პარლამენტის მიერ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების საკანონმდებლო საქმიანობაში გათვალისწინების შესახებ. კვლევის ამოცანაა, წარმოაჩინოს აღნიშნული პროცესის თავისებურებები და გამოწვევები. ასევე, მისი გავლენა საკანონმდებლო და საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესზე.

ამ ეტაპისთვის არ არსებობს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ჩატარებული ხელისუფლების შტოთა მიერ კონსტიტუციური სტანდარტების გათვალისწინებასა და მის გავლენაზე ორიენტირებული კვლევები. შესაბამისად, ნაშრომის სამეცნიერო სიახ-

ლე მდომარეობს იმაში, რომ იგი წარმოაჩენს, თუ რა გავლენას ახდენს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების შედეგად დამდგარი შედეგები საკანონმდებლო საქმიანობაზე და თავის მხრივ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა ქმედითობაზე. ამასთანავე, როგორ რეაგირებს საკანონმდებლო ორგანო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი მიდგომების კანონმდებლობაში იმპლემენტირების აუცილებლობაზე. ამიტომაც კვლევის შედეგები ნათელს მოჰფენს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების დროული რეალიზების მნიშვნელობას და წარმოაჩენს, გააჩნია თუ არა საკანონმდებლო ორგანოს მზაობა, გაითვალისწინოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მიდგომები კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

1. საქართველოს პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილი სტანდარტების იმპლემენტირების მნიშვნელობა

კონსტიტუციური კონტროლის მყარი მექანიზმების არსებობა უმნიშვნელოვანესია კონსტიტუციის დებულებების, სახელმწიფოს განვითარებისა და ადამიანის უფლებებათა თუ თავისუფლებათა დაცვისათვის. კონსტიტუციური კონტროლი ფართო ცნებაა და თავის თავში მოიცავს კონსტიტუციით დადგენილ ყველა სახის კონტროლს, მათ შორის, საკონსტიტუციო

კონტროლს.¹ საპარლამენტო კონტროლს ქვეყანაში საქართველოს პარლამენტი ახორციელებს, რომელიც ზედამხედველობს მის კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანოთა ნორმატიული აქტების კანონიერებასა და კონსტიტუციასთან შესაბამისობას. ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალიზირებული ორგანოა, რომლის ძირითად როლს კონსტიტუციის უზენაესობისა და კონსტიტუციით განმტკიცებულ ღირებულებათა დაცვა წარმოადგენს. კონსტიტუციური კონტროლის სფეროში უმნიშვნელოვანესია ამ ორი ორგანოს საქმიანობის ურთიერთმიმართება, როდესაც საკითხი შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებებით დადგენილი სტანდარტების იმპლემენტირებას კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების იმპლემენტაცია მოიცავს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში, ხელისუფლების სხვა შტოების ჩართვას და მათი მხრიდან მოქმედებების განხორციელებას. კერძოდ, ახორციელებს თუ არა ან/და რა დრო სჭირდება პარლამენტს კანონმდებლობაში სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების ასახვისათვის. აღნიშნული თავის მხრივ მნიშვნელოვანია იმდენად,

რამდენადაც იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ქმედითობა,² რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტები ხელშესახები ხდება მათი იმპლემენტირების შედეგად, რომელიც კონსტიტუციური მართლმსაჯულების ბოლო ეტაპია.³

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების რეალიზაცია დამოკიდებულია სახელმწიფოში დამკვიდრებულ სამართლებრივ კულტურასა და მართლშეგნებაზე.⁴ ხელისუფლების ყველა შტო ვალდებულია დაემორჩილოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.⁵ საქართველოს კონსტიტუციით არის განმტკიცებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა საბოლოოობის საკითხი. აღნიშნული გულისხმობს, რომ გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტები ხელისუფლების ნებისმიერი შტოსათვის შესასრულებლად სავალდებულოა. კონსტიტუციითვეა დადგენილი, რომ ნორმატიული აქტი ანდა მისი ნაწილი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო, ძალას კარგავს იმ მომენტიდანვე, როცა სასამართლო გადაწყვეტილებას გამოაქვეყნებს. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებითვე დაად-

¹ შეადარე. მელქაძე, ო., 1998. საკონსტიტუციო კონტროლი - ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ. ადამიანი და კონსტიტუცია, 1, გვ. 19-20.

² შეადარე. ბენიძე, ო., 1997. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება. ადამიანი და კონსტიტუცია, 2, გვ. 16.

³ შეადარე. მელქაძე, ო., და დვალი, ბ., 2001. საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირების წესი და საპროცესო თავისებურებანი. ადამიანი და კონსტიტუცია, 1, გვ. 60.

⁴ შეადარე. გეგენაზა, დ., 2012. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 69.

⁵ შეადარე. Mose, E., 2010. Constitutional Review and Implementation. International Almanac – Constitutional Justice in the New Millennium. გვ. 159; პუნქტი 1, მუხლი 25. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/4n78a8x>> [წვდომის თარიღი: 05.04.2025].

გენს სხვა გვიანდელ ვადას.⁶ ამრიგად, გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას, თვითაღსრულებადია. შესაბამისად, იგი ძალადაკარგულია გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდანვე და ხელისუფლების სხვა შტოები დამატებით აღარ საჭიროებენ გაატარონ საიმპლემენტაციო ღონისძიებები. თუმცა, ეს არ შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც სასამართლო გადაავადებს ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხს და პირდაპირ მიუთითებს პასუხისმგებელ ორგანოს, იმოქმედოს განსაზღვრულ ვადაში.

ამასთანავე, კონსტიტუციური მართლმსაჯულების მიზანი ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება კი არა, კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფაა. ამიტომაც მნიშვნელოვანია სამართლებრივ სისტემაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე სრულად აღმოიფხვრას სასამართლოს გადაწყვეტილებით იდენტიფიცირებული პრობლემა. შესაბამისად, აღნიშნული წარმოშობს საქართველოს პარლამენტის მოქმედების ვალდებულებას, განხორციელოს ცვლილებები და გაატაროს ღონისძიებები, რადგან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილი სტანდარტები აისახოს კანონმდებლობაში. მნიშვნელოვანია, ეს ცვლილებები იყოს დროული, რათა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ არ დაკარგოს ქმედითობის ხარისხი. თუ არ განხორციელდება ან/და დაგვიანდება გადაწყვეტილებებით დადგენილი კონსტი-

ტუციური სტანდარტების იმპლემენტირება კანონმდებლობაში, ამან შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური ზეგავლენა თავად სასამართლოს ავტორიტეტზე.⁷ ამასთანავე, იგი ნეგატიურად იმოქმედებს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხსა და თავად პარლამენტის საქმიანობაზეც, რომელმაც კანონშემოქმედებითი საქმიანობა კონსტიტუციის დებულებათა უზენაესობის პრინციპის დაცვით უნდა განახორციელოს.

1.1. პარლამენტის მიერ კონსტიტუციური სტანდარტების გათვალისწინება კანონშემოქმედებით საქმიანობაში

საქართველოს კონსტიტუციით არის განმტკიცებული ხელისუფლების შტოთა ვალდებულება, რომ მათი მოქმედებები შეუსაბამონ და დაუქვემდებარონ კონსტიტუციის მოთხოვნებსა და სტანდარტებს. თუმცა, კანონის მოქმედების შედეგად და ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის პროცესში, მუდმივად არსებობს რისკი, რომ დაირღვეს ადამიანის უფლებები. სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ბუნება და მასშტაბურობა კიდევ უფრო ამძაფრებს ამ რისკს და წარმოშობს მისი დაბალანსების საჭიროებას. შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, წარმოადგენს ქმედით მექანიზმს აღნიშნული რისკის გაწონასწორებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემე-

⁶ შეადარე. პუნქტი 5, მუხლი 60, საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sZclcN> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

⁷ შეადარე. შვარცი, ჰ., 2003. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტ-კომუნისტურ ევროპაში. თბილისი: აირის საქართველო, გამომცემლობა სეზანი, გვ. 69.

ბი ცხადყოფს,⁸ რომ მის მიერ განხილულ საქმეთა უმეტესობაში პარლამენტი - საკანონმდებლო ორგანო, გვევლინება მოპასუხე მხარედ. აღნიშნული კიდევ უფრო ამტკიცებს პოზიციას, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონშემოქმედებით საქმიანობაში კონსტიტუციური სტანდარტების გათვალისწინება, რათა დაცულ იქნას კონსტიტუციის უზენაესობა.

პარლამენტის მიერ კონსტიტუციური სტანდარტების გათვალისწინების პრაქტიკაში დაფიქსირებულია და, სამწუხაროდ, მნიშვნელოვნად შესამჩნევია შემთხვევები, როდესაც კანონმდებლობის შემუშავების პროცესში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ კონსტიტუციურ სტანდარტებს საკანონმდებლო ორგანო დროულად არ/ვერ ითვალისწინებს. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა შეეხებოდა მარიხუანას შეძენა-შენახვასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს, როდესაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია 70 გრამამდე პირადი მოხმარებისათვის შეძენილი თუ შენახული გამომშრალი მარიხუანასთვის - სასჯელის სახით - თავისუფლების აღკვეთის დაწესება,⁹ მაგრამ საკანონმდებლო ორგანომ ოპერატიულად არ ასახა კანონმდებლობაში აღნიშნული სტანდარტი. გადაწყვეტილების მიღებიდან მომდევნო 3 წლის განმავლობაში კანონმდებლობაში ცვლილება არ განხორციელებულა. აღნიშნულმა გამოიწვია სასამართლოსათვის მიმართვიანობის გაზრდა და საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე წარდგენილ იქნა

ათეულობით სარჩელი თუ წარდგინება, რომლებიც ისევ და ისევ შეეხებოდა წლობით თავისუფლების აღკვეთას მცენარე კანაფის შეძენა-შენახვისთვის. ამიტომაც, სასამართლო დადგა იმ საჭიროების წინაშე, რომ ინდივიდუალურად განეხილა არაერთი კონსტიტუციური სარჩელი/წარდგინება და სადავო ნორმები არსებითი განხილვის გარეშე არაკონსტიტუციურად ეცნო. აღნიშნულმა ფაქტმა შედეგად გამოიწვია სასამართლოს გადატვირთულობა და ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა გადაწყვეტილების ქმედითობის საკითხზე. ამიტომაც, სასამართლომ დამატებით გააკეთა მითითება კანონმდებლისათვის, რომ პარლამენტმა აქტიურად იმოქმედოს, არ დაელოდოს სასამართლოს მიერ ახალი განჩინებებით სადავო ნორმების გაუქმებას და უკვე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტის შესაბამისად გაასწოროს ნორმა.¹⁰

ზემოაღნიშნულის გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს პარლამენტს შორის ურთიერთობის პრაქტიკაში იკვეთება ისეთი შემთხვევები, როდესაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, მაგრამ ამავე ნორმის მსგავსი შინაარსის შემცველი რეგულაცია ისევ დარჩა ასახული კანონმდებლობაში. ამრიგად, პარლამენტმა ე.წ. „დამძლველი ნორმა“ კი არ მიიღო, არამედ მან ხარვეზების აღმოსაფხვრელად არ განახორციელა სათანადო ზომები. მაგალითისათვის უნდა განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც მოსარჩელები მოითხოვდნენ საქმის არსებითი განხილ-

⁸ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2019. ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე წლიური ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3qhb7KA>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

⁹ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №1/4/592).

¹⁰ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2017. ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე წლიური ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3qhb7KA>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

ვის გარეშე - გამარტივებული წესით-არაკონსტიტუციურად ცნობილიყო ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა პენიტენციური სამსახურის მოსამსახურესათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, არაუმეტეს სამი თვის ოდენობით. მოსარჩელები უთითებდნენ, რომ მსგავსი შინაარსის ნორმა №2/3/630 გადაწყვეტილებით, უკვე არაკონსტიტუციურად ცნო სასამართლომ 2015 წელს. მოსარჩელის მითითებას მოპასუხე მხარის წარმომადგენლები დაეთანხმნენ, მაგრამ დამატებით განმარტეს, რომ სადავოდ გამხდარ ნორმას ლეგიტიმური მიზნები გააჩნდა, რის გამოც არაკონსტიტუციურად არ უნდა ყოფილიყო ცნობილი. ამავდროულად, 2017 წლიდან ამოქმედდებოდა ახალი კანონი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად, მოსამართლეს მისცემდა შესაძლებლობას, ემსჯელა კომპენსაციის გადახდის საკითხზე ზედა ზღვარის დაწესების გარეშე, თუკი კონკრეტული საქმე განხილული იქნებოდა საერთო სასამართლოების მიერ.¹¹ საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთა პოზიციიდან ნათლად იკვეთება, რომ მათ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების იმპლემენტირების საკითხის რეალიზაცია ხელისუფლების სხვა შტოს - საერთო სასამართლოებს გადააბარეს, რაც კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფის სფეროში უკან გადადგმული ნაბიჯია. ამიტომაც, საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ანგარიშში კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება კანონმდებლის ვა-

ლდებულებაზე, რომ პატივი სცეს და გადადგას ქმედითი ნაბიჯების სასამართლოს გადაწყვეტილებათა სათანადო იმპლემენტირებისთვის.¹² საბოლოო ჯამში, აღნიშნული საკითხის დარეგულირება და კონსტიტუციურ სტანდარტებთან მისადაგება განხორციელდა 2018 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად.¹³

აუცილებელია, განხილულ იქნას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ ექსპლიციტურად მიუთითა ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის ვადა. თუმცა დადგენილი ვადის მიუხედავად, პარლამენტმა დროულად არ მოახდინა გადაწყვეტილებით დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების ასახვა კანონმდებლობაში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის დებულება, რომელიც ითვალისწინებდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას, ზეპირი მოსმენის გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მივიდოდა დასკვნამდე, რომ განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა შესახებ საფუძვლიანი იყო. სასამართლომ განმარტა, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოებები თუ მტკიცებულებები შეიძლება გახდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ნაწილის რევიზიის და არა მისი სრულად გაუქმების საფუძველი. ამიტომაც, კანონს უნდა მიეცა

¹¹ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის განჩინება (საქმე №2/16/1218).

¹² შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2017. ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე წლიური ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3qhb7KA>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

¹³ შეადარე. ნაწილი 1, მუხლი 37, საქართველოს კანონი „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/4385eho>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

მოსამართლისთვის შესაძლებლობა, მხარეთა ინტერესების პროპორციულად შეუფასებინა გადაწყვეტილების გაუქმების ფარგლები. ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე სადავო ნორმის გაუქმებას ცალკეული პირებისათვის შესაძლოა მოჰყოლოდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. ამიტომაც განსაზღვრა ვადა, რომ კონსტიტუციური სტანდარტები კანონმდებლობაში ასახულიყო 2019 წლის 30 აპრილამდე.¹⁴ თუმცა საკანონმდებლო ორგანომ უშედეგოდ გაუშვა ეს ვადა. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული ქმედება ნეგატიურად და მკაცრად შეაფასა, კონსტიტუციური კანონიერების შესახებ მომდევნო ორი წლის ანგარიშებით, სადაც მიუთითა, რომ ამგვარი უმოქმედობა საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან, რამაც სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელყოფა შეიძლება გამოწვიოს, განსაკუთრებულ პრობლემად უნდა იქნას მიჩნეული.¹⁵ ამისდა მიუხედავად, საკანონმდებლო ორგანომ არ გამოხატა ნება, ემოქმედა დროულად და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტები კიდევ ერთი წლის დაგვიანებით ასახა კანონმდებლობაში.¹⁶ ამ პერიოდის განმავლობაში კი, საერთო სასამართლოები იძულებულნი იყვნენ ემსჯელათ და გადაწყვეტილება მიეღოთ ფაქტობრივად არაკონსტიტუციური სტანდარტების საფუძველზე, რამეთუ პარლამენტმა არ იმოქმედა დროულად. შედეგად კი, უხეშად დაიღვა

ადამიანის უფლებები და დროულად ვერ იქნა გარანტირებული კონსტიტუციის დებულებათა უზენაესობა.

აღსანიშნავია ისეთი შემთხვევები, როდესაც კანონმდებელს არ განუხორციელებია ცვლილებები გადაწყვეტილებით დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების კანონმდებლობაში ასახვის საკითხთან მიმართებით და საკითხი განჭვრეტადი რეგულირების გარეშე დატოვა მხოლოდ ნორმის ძალადაკარგულად ცნობის იმედად. ერთ-ერთი ასეთი საქმე შეეხება მეწარმეობის თავისუფლებასთან შეუსაბამობის საფუძველს, შპს „საქართველოს ფოსტას“ საქმიანობაზე სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი ნორმების და რეგულაციების გაუზრცელებლობის არაკონსტიტუციურად ცნობას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სხვა ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებით, შპს „საქართველოს ფოსტა“ იმყოფებოდა უპირატეს მდგომარეობაში იქიდან გამომდინარე, რომ კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა განჭვრეტად და განსაზღვრულ ნორმებს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ხელმისაწვდომ ფასად მომსახურების გაწევის ვალდებულების, ხარჯების გამოთვლის ობიექტური პარამეტრებისა და გონივრულ მოგებაზე ბევრად მეტი სარგებლის მიღების შესაძლებლობის რეგულირების შესახებ. უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით კი, სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის პირველი მა-

¹⁴ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/8/765).

¹⁵ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2020. ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე წლიური ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3qhb7KA>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

¹⁶ შეადარე. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2021 წლის ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3CQFzPx>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

ისი.¹⁷ დადგენილი ვადის მიუხედავად, საკანონმდებლო ორგანომ შესაბამისი ცვლილებები არ განახორციელა კანონმდებლობაში და არ დაარეგულირა მითითებული საკითხი. არსებული მდგომარეობა კი შესაძლოა შეფასდეს იმგვარად, რომ საკანონმდებლო ორგანოს არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები კანონმდებლობაში კონსტიტუციური სტანდარტების ასახვის მიმართულებით და ცვლილებები არაკონსტიტუციური ნორმის თვითაღსრულებადობას მიანდო. შესაბამისად, შპს „საქართველოს ფოსტას“ საქმიანობაზე გავრცელდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, კანონშემოქმედებითი საქმიანობის გარეშე.¹⁸

საინტერესოა კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომელზეც საკანონმდებლო ორგანოს მოქმედება შეიძლება შეფასდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული სტანდარტების საწინააღმდეგო მოქმედებად. კერძოდ, გადაწყვეტილება შეეხება ბრალდების მხარის აღჭურვას უფლებამოსილებით, რომ გამოძიების ეტაპზე იძულების წესით გამოეძახებინა მოწმე და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეეძლო მიედო გადაწყვეტილება ფულადი სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით. აღნიშნული უფლებამოსილება ბრალდების მხარეს მინიჭებული ჰქონდა ტერორიზმთან დაკავშირებულ დანაშაულებთან, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე, 3232-ე, 325-ე და 329-ე მუხლებთან

მიმართებით. მითითებულ რეგულაციათა არაკონსტიტუციურად ცნობას საფუძვლად საკონსტიტუციო სასამართლომ მხარეთა არათანაბარი უფლებრივი რეჟიმის არსებობა დაუდო. ხოლო გამოძიების ინტერესთა დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, რაც ნორმათა დაუყოვნებლივ გაუქმებას შეიძლება მოჰყოლოდა, სასამართლომ გადაწყვეტილებითვე განსაზღვრა ვადა - 2019 წლის 30 ივნისი, რა ვადაშიც კანონმდებელს უნდა განეხორციელებინა ცვლილებები.¹⁹ დადგენილ ვადაში საქართველოს პარლამენტმა გაატარა გადაწყვეტილებით განსაზღვრული სტანდარტის, შეიძლება ითქვას, საწინააღმდეგო ცვლილება. კერძოდ, 2018 წლის 22 დეკემბრის ცვლილებით, ზემოაღნიშნული რეგულაციის მოქმედების დროებით ვადად განსაზღვრა 2019 წლის 30 ივნისი,²⁰ რაც ფორმალურად შეესაბამებოდა გადაწყვეტილებას, თუმცა ეწინააღმდეგება კონსტიტუციური სტანდარტის ქმედითად ასახვას კანონმდებლობაში. საკანონმდებლო ორგანოს აღნიშნული ქმედებიდან აშკარად იკვეთება მისი წინააღმდეგობრივი ხასიათი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ კონსტიტუციურ სტანდარტთან მიმართებით, თუმცა საკანონმდებლო ცვლილებების დროებითი ხასიათიდან გამომდინარე, აღქმული შეიძლება იქნას, რომ საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტი გათვალისწინებულია კანონმდებლობით, რადგან ამ ეტაპზე

¹⁷ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №1/1/655).

¹⁸ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2020. ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე წლიური ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3qhb7KA>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

¹⁹ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/13/1234,1235).

²⁰ შეადარე. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ №4108. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3BZX3YS>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

ბრალდების მხარის უფლებამოსილება გაუქმებულია.

განხილული შემთხვევები ნათლად აჩვენებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიუხედავად, პარლამენტი ხშირად არ ახორციელებს დროულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებმაც რიგ შემთხვევებში გამოიწვია სასამართლოს გადატვირთულობა და ადამიანის უფლებების გაუმართლებელი დარღვევის რისკი. საყურადღებოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პარლამენტი ცდილობს ფორმალურად დააკმაყოფილოს სასამართლოს მოთხოვნები, თუმცა რეალურად არ ასახავს კონსტიტუციურ სტანდარტებს კანონმდებლობაში. მაგალითად, როდესაც დროებითი ვადით განუსაზღვრავს საკონსტიტუციურად ცნობილ ნორმას მოქმედება, რაც ფორმალურად შეესაბამებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებას, მაგრამ არსობრივად ეწინააღმდეგებოდა მის მიზანს. ამიტომაც, საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწია არაერთხელ მიეთითებინა პარლამენტისათვის იმაზე, რომ უზრუნველყოს კონსტიტუციური სტანდარტების დროული ასახვა კანონმდებლობაში. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა აჩვენებს, რომ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შედეგიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საკანონმდებლო ორგანოს ნებასა და პასუხისმგებლობაზე, რომ მოახდინოს კონსტიტუციური სტანდარტების დროული და სრულყოფილი იმპლემენტაცია კანონმდებლობაში. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები ნათლად მიუთითებენ, რომ საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებები და ფუნდამენტური სამართლებრივი დებულებები, რომელთა მიხედვითაც საკანონმდებლო ორგანომ არ უნდა უგულებელყოს კონსტიტუციური სტანდარტების იმპლემენტირება, რადგან კანონმდებლობაში ვერ ქმნის რეალურ ბარიერებს კონსტიტუციურ-სამართლე-

ბრივი სტანდარტების დროულად და ეფექტურად კანონმდებლობაში ასახვის პროცესში, რაც თავის მხრივ საფრთხის ქვეშ აყენებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა ქმედითობას, ადამიანის უფლებების გარანტირებასა და კონსტიტუციის უზენაესობის დაცვას.

2. სადავო ნორმათა ძალადაკარგულად ცნობის გადავადების ეფექტი კანონშემოქმედებით საქმიანობაზე

ზოგადი წესის მიხედვით, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა, ნორმის იურიდიული შინაარსი თუ ნორმატიული აქტი, იურიდიულ ძალას კარგავს იმ მომენტიდან, როდესაც შესაბამისი გადაწყვეტილება გამოქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დაადგინოს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის თუ აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფრო გვიანდელი თარიღი. აღნიშნულ მექანიზმს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხე, რომ არაკონსტიტუციური ნორმის გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად ცნობა კერძო და საჯარო ინტერესებს არსებით ზიანს მიაყენებს. გარდა ამისა, არაკონსტიტუციურ ნორმათა ძალადაკარგულად ცნობის გადავადების მიზანი არის, რომ სამართლებრივ მოწესრიგებას დაექვემდებაროს ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთაც რეგულირება სჭირდებათ. მსგავს ურთიერთობებთან მიმართებით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საკანონმდებლო ორგანოს ეფექტური

მოქმედების აუცილებლობა, რათა კერძო და საჯარო ინტერესების დაცვის გათვალისწინებით, დროულად მოახდინოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების კანონმდებლობაში ასახვა. აღნიშნული მექანიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იქიდან გამომდინარე, რომ საკანონმდებლო ორგანოს მიერ, კონსტიტუციური სტანდარტების კანონმდებლობაში ასახვის თვალსაზრისით, მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ უმეტეს შემთხვევაში კანონმდებელი უფრო ქმედითად მოქმედებს და ახდენს კონსტიტუციური სტანდარტების კანონმდებლობაში ასახვას სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში. მაგალითად, საქმეზე, სადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ზედმეტი და დაუსაბუთებელი ბარიერის საფუძვლით კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნია ნორმა, რომლითაც გათვალისწინებული იყო ყველა მოსამართლის გამოსაცდელი 3-წლიანი ვადით გამწესება, იმისდა მიუხედავად, კანდიდატი იყო მოქმედი თუ ყოფილი მოსამართლე, ან/და სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილების მქონე.²¹ სასამართლომ გადაწყვეტილების იმპლემენტირება გადაავადა 5 თვის ვადით, რა დროშიც საქართველოს პარლამენტმა რიგი ცვლილებები განახორციელა კანონმდებლობაში, რათა მოსამართლეთა გამწესების საკითხი დაერეგულირებინა

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.²²

კიდევ ერთი საინტერესო საქმე ეხება გადაწყვეტილებას, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომელიც მხოლოდ ბრალდების მხარეს აღჭურავდა უფლებამოსილებით, გამოძიების ეტაპზე დაიკითხა გამოსაკითხი პირი, მაგისტრეტი, სასამართლოს წინაშე დაცვის მხარისგან განსხვავებით. მოსარჩელე მხარე ასევე მიუთითებდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავს საკითხზე უკვე ჰქონდა ნამსჯელები და №2/13/1234,1235 საქმეზე დადგენილ იქნა შესაბამისი კონსტიტუციური სტანდარტი.²³ სასამართლომ ნორმის ძალადაკარგულად ცნობა გადაავადა 5 თვის ვადით, რა დროშიც საქართველოს პარლამენტმა დაარეგულირა მოწმის დაკითხვის საკითხი კონსტიტუციური სტანდარტის საფუძველზე.²⁴ აღნიშნული საქმე ამავედროულად საყურადღებოა იმიტომაც, რომ ცხადყოფს, თუ როგორ მნიშვნელოვან ეფექტს იძლევა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების კანონმდებლობაში ასახვის დროულობა და ვადით განსაზღვრულობა. კერძოდ, სასამართლოს მიერ №2/13/1234,1235 საქმეზე განსაზღვრული სტანდარტების კანონმდებლობაში დროულად ასახვის შემთხვევაში აღარ გახდებოდა აუცილებელი კიდევ ერთი სარჩელის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, რამაც, საბოლოო ჯამში, გააჩიანუ-

²¹ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №3/1/659).

²² შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2017. ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე წლიური ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3qhb7KA>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

²³ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის განჩინება (საქმე №2/12/1237).

²⁴ შეადარე. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2020 წლის ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3CQFzPx>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

რა იმპლემენტირების პროცესი. ნათელია, რომ კანონმდებლის უმოქმედობა, საკითხის რეგულირების აუცილებლობასთან მიმართებით, ნეგატიურ გავლენას ახდენს კონსტიტუციური მართლმსაჯულების პროცესზე.

კონსტიტუციური სტანდარტების კანონმდებლობაში ასახვის გადავადების მექანიზმმა ეფექტურად იმოქმედა და დროული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, საკანონმდებლო რეგულაციები შესაბამისობაში მოვიდა კონსტიტუციასთან შემდეგ გადაწყვეტილებებთან მიმართებით: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილება, რომელიც გადავადებულ იქნა 2021 წლის 1 ივლისამდე და საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის N2/4/1412 გადაწყვეტილება, რომელიც გადავადდა 2021 წლის 1 ივნისამდე.²⁵

საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დადგენილი სტანდარტები, რომლებიც შეეხებოდა სისხლის სამართლის საქმეებზე ყადაღის გამოყენების განჭვრეტადი მექანიზმის არსებობისა და ვადით განსაზღვრულობის აუცილებლობას.²⁶ აღნიშნული გადაწყვეტილებით, ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება საკონსტიტუციო სასამართლომ გადაავადა 6 თვის ვადით და დასაბუთების ნაწილში იმსჯელა გადავადების მნიშ-

ვნელობაზე. სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ სადავო ნორმის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადებით, საფრთხე შეექმნებოდა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს, რომლებიც დაკავშირებულია ნივთიერი მტკიცებულებების განადგურებისაგან დაცვის, მყარი საკანონმდებლო რეგულაციების არსებობასთან, დანაშაულის პრევენციასა და მართლმსაჯულების აღსრულებასთან. ამიტომაც, სასამართლომ ლეგიტიმურად მიიჩნია, რომ საკანონმდებლო ორგანოს უნდა მისცემოდა გონივრული ვადა, რათა კანონმდებლობაში ცვლილებები კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად განეხორციელებინა.²⁷ ამ საქმესთან მიმართებითაც, პარლამენტმა იმოქმედა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში და საკანონმდებლო ცვლილებები დროულად განეხორციელა.²⁸ ცვლილებების მიზანს კი წარმოადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების კანონმდებლობაში ასახვა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა.²⁹

საკანონმდებლო ორგანომ ნორმის ძალადაკარგულად გადავადებისათვის დადგენილი ვადა კიდევ ერთ საქმეზე გამოიყენა ეფექტურად და კანონმდებლობის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ცვლი-

²⁵ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2020. ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე წლიური ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3qhb7KA>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

²⁶ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/1434,1466).

²⁷ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/1434,1466).

²⁸ შეადარე. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ №07-3/237. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/44GsWVI>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

²⁹ შეადარე. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/4it5Bdl>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

ლებები განხორციელა სამოქალაქო და საგადასახადო კანონმდებლობაში. ცვლილებების საფუძვლად კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტები მიუთითა. საქმე შეეხებოდა მართხელა მშობელთა სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებულ სამართლებრივ რეგულირებას, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა არსებითად თანასწორ, მართხელა მშობელთა უფლებრივი თანასწორობას. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაშივე იმსჯელა ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების გადავადების აუცილებლობაზე და მიუთითა, რომ სასამართლოს მიერ, სადავო ნორმების დაუყოვნებლივ გაუქმების შემთხვევაში, წარმოიქმნებოდა სამართლებრივი ვაკუუმი და რეგულირების გარეშე დარჩებოდა მართხელა მშობლის სტატუსის მინიჭების საკითხი. შედეგად, შეიქმნებოდა ფაქტობრივი და სამართლებრივი გაურკვევლობა იმ პირთათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ სტატუსის მინიჭებისთვის კანონით დადგენილ წინაპირობებს.³⁰ სწორედ, ამ გარემოებების საფუძველზე მიეცა პარლამენტს შესაძლებლობა, რომ ადამიანის უფლებათა დამატებით დარღვევის გარეშე და გონივრულ ვადაში მოეხდინა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების იმპლემენტირება.

კიდევ ერთ საქმეზე, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სამართლის ნორმა, რომელიც განსაზღვრავდა სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველებს,

გადაავადა ნორმის ძალადაკარგულად ცნობის საკითხი. გადავადების საფუძვლად კი მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოსადმი მიმართვიანობისა და დატვირთვის გაუმართლებელი გაზრდა, რასაც გამოიწვევდა ხარვეზიანი სარჩელების მიღებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველების გაუქმება.³¹ მოცემულ შემთხვევაშიც საქართველოს პარლამენტმა სასამართლოს მიერ ზუსტად განსაზღვრულ ოთხთვიან ვადაში მოახდინა სამოქალაქო კანონმდებლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული მიდგომების გათვალისწინება.³²

ნათელია, რომ ბოლო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების გადავადების მექანიზმს იმ მიზნით, რომ გონივრულ ვადაში და დროულად მოხდეს მის მიერ დადგენილი სტანდარტების იმპლემენტირება კანონმდებლობაში. ამავდროულად, ამ პროცესში მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული საჯარო და კერძო ინტერესების დაცულობის ხარისხი, რათა რეგულაციის გარეშე არ დარჩეს სამართლებრივი ურთიერთობა და არ მოხდეს ძირითადი უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვა. ვადა კი, რომლის განმავლობაშიც სასამართლო ახდენს ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებას, მერყეობს 4-დან 6 თვემდე, რაც გონივრული პერიოდია სათანადო ცვლილებების განხორციელებისათვის. საინტერესოა, რომ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მოუწია მსგავსი შინაარსის ნორმის განმეორებით არაკონსტიტუციურად ცნობა

³⁰ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №1/6/1320).

³¹ შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/1481).

³² შეადარე. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2023 წლის ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/4iERTV1>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

და პირველი საქმისაგან განსხვავებით, მეორე საქმეზე გადაავადა ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მხრიდან ნორმის ძალადაკარგულად ცნობის გადავადებას ჰქონდა მიმანიშნებელი როლი, რომ კანონმდებელს დროულად ემოქმედა. მიუხედავად მსგავსი პრაქტიკის არსებობისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო ორგანო ეფექტიანად იყენებს ამ შესაძლებლობას და ცდილობს, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში კანონმდებლობაში ასახოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი მიდგომები.

დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების იმპლემენტირება კანონშემოქმედებით პროცესში არის ის საკითხი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს ქვეყანაში კონსტიტუციური იუსტიციის გავლენა და საკანონმდებლო ორგანოს მზაობა, დროულად გაითვალისწინოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომები, რათა დააჩქაროს კანონმდებლობის კონსტიტუციის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ კონსტიტუციურ სტანდარტებზე ქმედითი რეაგირება ქმნის კონსტიტუციის უზენაესობის და კონსტიტუციური კანონიერების მდგრადი გარანტიების შექმნის შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტები ხელისუფლების ნებისმიერი შტოსათვის შესასრულებლად სავალდებულოა. უმეტეს შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებანი თვითაღსრულებადია, ასევე არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იდენ-

ტიფიცირებული პრობლემები, რომელთა აღმოფხვრაც სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან მოითხოვენ დროულ, აქტიურ და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამის მოქმედების აუცილებლობას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც უშუალოდ მიემართება საკანონმდებლო ორგანოს გაჭიანურებულ მოქმედებას თუ უმოქმედობას, რათა კანონმდებლობაში ასახოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტები. პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ პარლამენტი დადგენილ კონსტიტუციურ სტანდარტებს დროულად არ/ვერ ითვალისწინებს, რამაც უმეტეს შემთხვევაში გამოიწვია სასამართლოსათვის მიმართვიანობის მნიშვნელოვანი ზრდა და სასამართლოს მიერ რიგი სადავო ნორმების არსებითი განხილვის გარეშე არაკონსტიტუციურად ცნობა. ამრიგად, კანონმდებლობაში ცვლილებათა განუხორციელებლობა გახდა სასამართლოს გადატვირთულობის საფუძველი და ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა გადაწყვეტილების ქმედითობის საკითხზე. პრაქტიკის ანალიზიდან გამოიკვეთა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, მაგრამ ამავე ნორმის მსგავსი შინაარსის შემცველი რეგულაცია ისევ დარჩა ასახული კანონმდებლობაში, ხოლო პარლამენტმა დადგენილი სტანდარტების იმპლემენტირების საკითხის რეალიზაცია ხელისუფლების სხვა შტოს - საერთო სასამართლოებს გადააბარა. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ექსპლიციტურად მიუთითა ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის ვადა, რომელიც საკანონმდებლო ორგანომ დადგენილ სტანდარტებთან წინააღმდეგობრივად გამოიყენა და არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმას ძალადაკარგულად გამოცხადების თარიღამდე დროებითი მოქმედების შე-

საძლებლობა მიანიჭა. თავის მხრივ, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადა, რომლის განმავლობაშიც კანონმდებლობა კონსტიტუციურ სტანდარტებთან უნდა დაეახლოვებინა, უშედეგოდ გაუშვა. ამიტომაც, საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად დამდგარა იმ გამოწვევის წინაშე, რომ კანონმდებლისათვის დამატებით მიეთითებინა კანონის კონსტიტუციურ სტანდარტებთან მოყვანის, მისადაგების აუცილებლობის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური სტანდარტების კანონმდებლობაში ასახვის პროცესში ეფექტურ გავლენას ახდენს სადავო ნორმათა ძალადაკარგულად ცნობის გადავადება. დასახელებული მექანიზმის გამოყენების შედეგად მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია და კანონმდებელი დროულად ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს. პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გააჩნა ნორმათა ძალადაკარგულად ცნობის გადავადების შესაძლებლობის გამოყენება. სასამართლო გადაწყვეტილებაშივე ასახულებს გადავადების აუცილებლობას და განუსაზღვრავს საკანონმდებლო ორგანოს გონივრულ ვადას, რომ კანონმდებლობა მოიყვანოს კონსტიტუციურ სტანდარტებთან შესაბამისობაში. გონივრული ვადის მოცულობა მერყეობს ოთხი თვიდან ექვს თვემდე პერიოდში. საინტერესოა, ის გარემოებაც, რომ საკანონმდებლო ორგანო განსაზღვრულ ვადაში ახორციელებს კანონმდებლობაში ცვლილებებს, მაგრამ მაქსიმალურად, ანუ სრულად იყენებს ამ ვადას. ერთი მხრივ, დადგენილი ვადის სრულად გამოყენება შეიძლება მიჩნეულ იქნას პროცესის გაჭიანურებადაც, თუმცა საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობა ამ ნაწილში მაინც

პოზიტიურად უნდა შეფასდეს იმის ფონზე, რომ რიგი გადაწყვეტილებით დადგენილი მიდგომები წლობით არ არის ასახული კანონმდებლობაში. საკონსტიტუციო სასამართლო ნორმათა ძალადაკარგულად გამოცხადების დასახულებაში აუცილებლად უთითებს გადავადების საფუძველსა და მიზანზე. ძირითადად გადავადების მიზანი არის ის გარემოება, რომ სამართლებრივ მოწესრიგებას დაექვემდებაროს ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთაც რეგულირება სჭირდებათ. ამასთანვე, ითვალისწინებს კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობას, რომ არ მოხდეს ძირითად უფლებაში არათანაზომიერი, გაუმართლებელი ჩარევა. საკითხი საერთოდ სამართლებრივი რეგულირების გარეშე არ დარჩეს ან/და არ განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის დაბრკოლება თუ გადატვირთულობა. ამრიგად, ეს მექანიზმი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს კერძო თუ საჯარო ინტერესების არსებითი ხელყოფა. შესაბამისად, იგი ვერ იქნება გამოყენებული ყველა გადაწყვეტილებასთან მიმართებით და ჩნდება სხვა ეფექტური საშუალებების არსებობის აუცილებლობა.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების კანონმდებლობაში იმპლემენტირებისათვის არ არსებობს საკმარისი სამართლებრივი გარანტიები, რათა არ დაბრკოლდეს კანონმდებლობის კონსტიტუციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესი.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბენიძე, ო., 1997. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება. ადამიანი და კონსტიტუცია, 2.
2. გეგენავა, დ., 2012. საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა.
3. მელქაძე, ო., 1998. საკონსტიტუციო კონტროლი - ტერმინის არსებითი მნიშვნელობის შესახებ. ადამიანი და კონსტიტუცია, 1.
4. მელქაძე, ო. და დვალი, ბ., 2001. საკონსტიტუციო სასამართლოების ფორმირების წესი და საპროცესო თავისებურებანი. ადამიანი და კონსტიტუცია, 1.
5. შვარცი, ჰ., 2003. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბილისი: აირის საქართველო, გამომცემლობა სეზანი.
6. Mose, E., 2010. Constitutional Review and Implementation. International Almanac – Constitutional Justice in the New Millennium.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sZclN>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].
2. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4n78a8x>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].
3. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

№4108. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3BZX3YS>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

4. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ №07-3/237. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/44GsWVI>> [წვდომის თარიღი 05.04.2025].
5. საქართველოს კანონი „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4385eho>> [წვდომის თარიღი: 05.04.2025].

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №1/4/592).
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №3/1/659).
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის განჩინება (საქმე №2/16/1218).
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/8/765).
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2/13/1234,1235).
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №1/1/655).
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის განჩინება (საქმე №2/12/1237).
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №1/6/1320).

9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/1434,1466).
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №2/1/1481).

Implementation. International Almanac – Constitutional Justice in the New Millennium. (in English)

6. Schwartz, H., 2003. Establishment of Constitutional Justice in Post-Communist Europe. Tbilisi: Airis Georgia, Publishing House Sezane. (in Georgian)

ინტერნეტ რესურსები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2017. 2019. 2020. ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე წლიური ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qhb7KA> [წვდომის თარიღი 05.04.2025].
2. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2020. 2021. 2022. 2023 წლის ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4izJjGO> [წვდომის თარიღი 05.04.2025].

Normative Materials:

1. Constitution of Georgia. [Online] available at: <https://bit.ly/3sZclN> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)
2. Organic Law of Georgia on the Constitutional Court of Georgia. [Online] available at: <https://bit.ly/4n78a8x> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)
3. Law of Georgia “On Amendments to the Criminal Procedure Code of Georgia” No. 4108. [Online] available at: <https://bit.ly/3BZX3YS> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)
4. Law of Georgia “On Amendments to the Criminal Procedure Code of Georgia” No. 07-3/237. [Online] available at: <https://bit.ly/44GsWVI> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)
5. Law of Georgia “On Amendments to the Law of Georgia on the Special Penitentiary Service”. [Online] available at: <https://bit.ly/4385eho> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)

BIBLIOGRAPHY:

Used literature:

1. Benidze, O., 1997. Enforcement of Decisions of the Constitutional Court of Georgia. Adamiani da Konstitutsia, 2. (in Georgian)
2. Gegenava, D., 2012. Constitutional Justice in Georgia: Main Systemic Problems of Judicial Proceedings, Tbilisi: David Batonishvili Law Institute Publishing House. (in Georgian)
3. Melkadze, O., 1998. Constitutional Control - On the Essential Meaning of the Term. Adamiani da Konstitutsia, 1. (in Georgian)
4. Melkadze, O. and Dvali, B., 2001. Rules for the Formation of Constitutional Courts and Procedural Features. Adamiani da Konstitutsia, 1. (in Georgian)
5. Mose, E., 2010. Constitutional Review and

Judicial Practice:

1. The decision of the Constitutional Court of Georgia, 24 October 2015 (case No. 1/4/592). (in Georgian)
2. The decision of the Constitutional Court of Georgia, 15 February 2017 (case No. 3/1/659). (in Georgian)
3. The decision of the Constitutional Court of Georgia, 16 November 2017 (case No. 2/16/1218). (in Georgian)
4. The decision of the Constitutional Court

- of Georgia, 7 December 2018 (case No. 2/8/765). (in Georgian)
5. The decision of the Constitutional Court of Georgia, 14 December 2018 (case No. 2/13/1234,1235). (in Georgian)
 6. The decision of the Constitutional Court of Georgia, 18 April 2019 (Case No. 1/1/655). (in Georgian)
 7. The decision of the Constitutional Court of Georgia, 24 October 2019 (Case No. 2/12/1237). (in Georgian)
 8. The decision of the Constitutional Court of Georgia, 28 December 2021 (case No. 1/6/1320). (in Georgian)
 9. The decision of the Constitutional Court of Georgia, 25 February 2022 (case No. 2/1/1434,1466). (in Georgian)
 10. The decision of the Constitutional Court

of Georgia, 3 February 2023 (case No. 2/1/1481). (in Georgian)

Internet Resources:

1. Constitutional Court of Georgia. 2017. 2019. 2020. Information on Constitutional Legality in Georgia, Annual Report. [Online] available at: <https://bit.ly/3qhb7KA> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)
2. Report of the Legal Affairs Committee of the Parliament of Georgia for 2020. 2021. 2022. 2023. [Online] available at: <https://bit.ly/4izJjGO> [Accessed 05.04.2025]. (in Georgian)